საია ფინანსთა სამინისტროს და მთავრობას ომეგა ჯგუფის საკითხზე ინფორმაციის გამოქვეყნებისკენ მოუწოდებს

2017 წლის 25 აპრილს შპს ,,ოჯთ □□□ განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა მინისტრს კომპანიის სახელზე რიცხული ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის შესახებ. განცხადება საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის თაობაზე თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახაზინო სამსახურს.

2018 წლის 30 მაისის #18/69791 წერილით შპს ,,ოჯთ □□□ სახაზინო სამსახურიდან ეცნობა, რომ მის მიერ ნამდვილად არის 2017 წლის 25 აპრილს წარდგენილი განცხადება შესაბამის დოკუმენტებთან ერთად, თუმცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალილანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის მიერ საკითხი არ განხილულა, ვინაიდან ამ პერიოდში სხდომა არ ჩატარებულა.

აღნიშნული პასუხიდან ჩანს, რომ **შპს ,,ოჯთ □□□ წარდგენილი ჰქონდა ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა განმარტოს *რატომ არ ჩაინიშნა კომისიის სხდომა - შესაბამისმა დეპარტამენტმა არ მიაწოდა ინფორმაცია კომისიის თავმჯდომარეს თუ თავად ფინანსთა მინისტრმა არ ჩათვალა საჭიროდ სხდომის დანიშვნა. მნიშვნელოვანია ნებისმიერ შემთხვევაში მიეთითოს შესაბამისი განმარტებაც.***

ამასთან, საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის საკითხზე საერთო სურათის შესაქმნელად, მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ საკითხი ეხება მედია ორგანიზაციას, მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ~~პროაქტიულად გამოქვეყნდეს~~ შემდეგი ინფორმაცია:

- 2017-2018 წლებში რამდენმა პირმა მიმართა და მათგან რამდენი კომპანიის მიმართ მოხდა აღიარებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაცია საქართველოს მთავრობის განკარგულებით;

- 2017-2018 წლებში რამდენჯერ შეიკრიბა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია (შესაბამისი თარიღების მითითებით) და რამდენი გადაწყვეტილება იქნა მიღებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხზე.